
საკანალიზაციო სეპტიკი

საკანალიზაციო სეპტიკი

ქ. თბილისი, სოფელი წავკისი,

სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების,

მიწის ნაკვეთის

გ ე გ მ ა

სიტუაციური სქემა



პირობითი აღნიშვნები

- შენობა
- ნაკვეთის საზღვარი
- გრუნტის გზა
- ბეტონის ღობე
- ჰიშკარი
- UTM - საერთაშორისო
- ბუჩქი
- გარე განათება
- 1094.16 შენობის სიმაღლე
- ხეები

შპს „ტერაბრაფიკი“		
დირექტორი		შ. შხაკაძე
კომპიუტერული უზრუნველყოფა		ი. თალაკვაძე
აზომვა		ვ. თაფლაძე
შესრულა		
დამკვეთი		
მასშტაბი 1:500		23.12.2024

ნასყიდობის ხელშეკრულება # 19.02.2026

ქ. თბილისი, 19 თებერვალი, 2026 წელი

მუხლი 1 ხელშეკრულების მხარეები

დამკვეთი:

სახელწოდება (საფირმო)/სახელი, გვარი:	შპს „ჰეივენ კაპიტალი“
საიდენტიფიკაციო ნომერი/პირადი ნომერი:	**405752715**
იურიდიული მისამართი:	
საკორესპონდენციო (ფაქტობრივი) მისამართი:	
წარმომადგენელი (ხელმომწერი პირი):	
სახელი და გვარი:	**ცოტნე ობოლაშვილი**
თანამდებობა/სტატუსი:	დირექტორი
საკონტაქტო მონაცემები:	
საკონტაქტო პირის სახელი და გვარი:	
თანამდებობა/სტატუსი:	
ტელეფონი:	577 99 48 48
ელფოსტა:	Tsotne.obolashvili@gmail.com
საბანკო რეკვიზიტები:	
ბანკის დასახელება:	სს „საქართველოს ბანკი“
ბანკის კოდი:	**BAGAGE22**
ანგარიშის ნომერი:	GE23BG0000000606101501

შემსრულებელი:

სახელწოდება (საფირმო):	შპს საქართველოს წყლის სისტემები;
საიდენტიფიკაციო:	405310088;
იურიდიული:	საქართველო,თბილისი, საბურთალოს რაიონი,არჩილ ცაგარელის ქუჩა, N 38, ბინა 32;
საკორესპონდენციო (ფაქტობრივი) მისამართი:	ქ. თბილისი, მიხეილ ბურძგლას ქუჩა 46
წარმომადგენელი (ხელმომწერი პირი):	
სახელი და გვარი:	არჩილ ნასრაშვილი;
თანამდებობა:	დირექტორი
საკონტაქტო მონაცემები:	
საკონტაქტო პირის სახელი და გვარი:	არჩილ ნასრაშვილი
თანამდებობა/სტატუსი:	დირექტორი
მობილური:	+995 555 400 008;
ელფოსტა:	archil@vortex.ge
საბანკო რეკვიზიტები:	
ბანკის დასახელება:	სს საქართველოს ბანკი;
ბანკის კოდი:	BAGAGE22;
ანგარიშის ნომერი:	GE38BG0000000131319793;

ინდივიდუალურად მოხსენიებული როგორც **„მხარე“** (კონტექსტის შესაბამისად) და ერთობლივად **„მხარეები“**, ვმოქმედებთ საქართველოს კანონმდებლობის საფუძველზე, თავისუფალი ნების გამოხატვით და ურთიერთ-თანამშრომლობის პრინციპზე დაფუძნებით, ვაფორმებთ წინამდებარე **ხელშეკრულებას** შემდეგზე:

მუხლი 2 ხელშეკრულების საგანი და მიწოდების პირობები

2.1. წინამდებარე **ხელშეკურლების საგანს** წარმოადგენს ჩამდინარე წყლის გამწმენდი სისტება, კონკრეტულად - რვა ერთეული ATB WATER GmbH-ის მიერ წარმოებული PUROO®-ს ბიოლოგიური გამწმენდი სისტემა და რეზერვუარი - RIKUTEC 115 SERIES (შემდგომში - **ხელშეკრულების საგანი**). აღნიშნული ხელშეკრულების საგანი განთავსდება შემდეგ მიწის ნაკვეთებზე: 01.81.02.365.132; 01.81.02.365.133; 01.81.02.365.134; 01.81.02.365.135; 01.81.02.365.136; 01.81.02.365.137; 01.81.02.365.138; 01.81.02.365.139:

2.2. „უნაკლო შესრულება“ გულისხმობს, საქართველოს კანონმდებლობის დაცვის შესაბამისი და მხარეთა შეთანხმებული პირობებით **ხელშეკრულების საგნის** მიწოდებას. „უფლებრივად უნაკლო“ გულისხმობს, რომ მესამე პირ(ებ)ს არ შეუძლია წაუყენოს **დამკვეთს** რაიმე მოთხოვნები, მიღებული **„ხელშეკურლების საგნის“** გამოყენებასთან.

2.3. **„ხელშეკრულების საგანი“** სრულად უნდა შეესაბამებოდეს **ხელშეკრულების დანართ(ებ)ით (ასეთის არსებობის შემთხვევაში)** განსაზღვრულ **და ხელშეკრულების საგანთან** დაკავშირებული მოთხოვნებს.

მუხლი 3 ფინანსები და ხარჯთაღრიცხვა

3.1. წინამდებარე **ხელშეკრულების** ფასი არის მისაწოდებელი **ხელშეკრულების საგნის** ღირებულება, საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული დღგ-ის ჩათვლით და შეადგენს 33 496.08 ევროს.

3.2.1. **ხელშეკრულების საგნის** ღირებულების **50%** (ორმოცდაათი პროცენტი) ავანსის სახით ანაზღაურდება **დამკვეთის** მიერ, **ხელშეკრულების** ორმხრივი ხელმოწერიდან არაუგვიანეს 10 (ათი) სამუშაო დღის ვადაში.

3.2.2. ხელშეკრულების საგნის ღირებულების **30%** - ის (ოცდაათი პროცენტი) ანაზღაურებას დამკვეთი უზრუნველყოფს ტვირთის საქართველოში გამოგზავნამდე, მას შემდეგ რაც „დამკვეთს“ ეცნობება შეკვეთის გამზადების შესახებ.

3.2.3. **ხელშეკრულების საგნის** ღირებულების დარჩენილი **20%-ის** (ოცი პროცენტი) ანაზღაურებას **დამკვეთი** უზრუნველყოფს **ხელშეკრულების საგნის** მიწოდებიდან 5 (ხუთი) სამუშაო დღის განმავლობაში.

3.3. იმ შემთხვევაში თუ **ხელშეკრულების** ფასი მოცემულია უცხოურ ვალუტაში, **დამკვეთი** იღებს ვალდებულებას, უზრუნველყოს **ხელშეკრულების საგნის** ღირებულების ანაზღაურება, გადარიცხვის ოპერაციის დღეს საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი ლარის ოფიციალური გაცვლითი კურსის შესაბამისად.

3.4. მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებას უტოლდება, კანონმდებლობით გათვალისწინებული საგადასახადო ანგარიშ-ფაქტურა და სასაქონლო ზედნადების (საჭიროების შემთხვევაში) შევსება/დადასტურება.

3.5. თუ **ხელშეკრულების საგნის** მიწოდება/მიღება უნდა დადასტურდეს მხარეთა შორის გაფორმებული **მიღება-ჩაბარების აქტის** საფუძველზე, მხარეები თანხმდებიან: (i) ხელშეკრულების საგნის მიწოდებიდან 5(ხუთი) სამუშაო დღის ვადაში, თუ დამკვეთის მხრიდან არ იქნება მიღებული მოტივირებული უარი მიღება-ჩაბარების აქტის ხელმოწერაზე, ხელშეკრულება შემსრულებლის მიერ ჩაითვლება ჯეროვნად შესრულებულად და აქტი გაფორმებულად. (ii) **მიღება-ჩაბარების აქტის** გაფორმებას უტოლდება, კანონმდებლობით გათვალისწინებული საგადასახადო ანგარიშ-ფაქტურა და სასაქონლო ზედნადების (საჭიროების შემთხვევაში) შევსება/დადასტურება.

მუხლი 4 მხარეთა უფლება მოვალეობანი და პასუხისმგებლობა

4.1 დამკვეთი უზრუნველყოფს:

4.1.1. წინამდებარე **ხელშეკრულებით** განსაზღვრული საგნის მიღებას და ანგარიშსწორებას **ხელშეკრულების** პირობების გათვალისწინებით.

4.1.2. **შემსრულებლის** მიერ **ხელშეკრულებით** გათვალისწინებული ვალდებულების შესასრულებლად შესაბამისი გარემოს შექმნას, საამისოდ აუცილებელი ყველა წინარე სამუშაოს შესრულებას, ინფორმაციისა და დოკუმენტაციის მიწოდებას და საჭირო ყველა წინაპირობის შესრულებას, რაც შემსრულებელს მისცემს საშუალებას ჯეროვნად შეასრულოს დაკისრებული მოვალეობები.

4.2. შემსრულებელი უზრუნველყოფს:

4.2.1. წინამდებარე **ხელშეკრულებით** განსაზღვრული საგნის **დამკვეთისათვის** მიწოდებას არაუგვიანეს წინამდებარე **ხელშეკრულების** ორმხრივად ხელმოწერიდან და ავანსის თანხის ჩარიცხვიდან 60 - 70 სამუშაო დღის ვადაში. მიწოდებისათვის განსაზღვრული ვადა აითვლება ავანის ჩარიცხვის დღიდან. შემსრულებლის მხრიდან შესასრულებელი სამუშაოს დაგვიანების შემთხვევაში მოწოდებული უნდა იყოს დაგვიანების მიზეზი და ასევე მისი ქვეკონტრაქტორის/მომწოდებლის წერილიც ამის თაობაზე.

4.2.2. ხელშეკრულების საგნის მონტაჟს, მას შემდეგ რაც დამკვეთი უზრუნველყოფს მონტაჟისათვის შესაფერისი გარემოსა და პირობების შექმნას.

4.3. პასუხისმგებლობა:

4.3.1. **ხელშეკრულებით** ნაკისრი ვად(ებ)ის დარღვევის შემთხვევაში **შემსრულებელი** უხდის **დამკვეთს** პირგასამტეხლოს დარჩენილი მისაწოდებელი **ხელშეკრულების საგნის** (დაგვიანებით მიწოდებული) ღირებულების 0.01% -ის ოდენობით ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე, თუ ეს გამოწვეული არაა **დამკვეთის** მიზეზით.

4.3.2. **ხელშეკრულებით** ნაკისრი ვად(ებ)ის დარღვევის შემთხვევაში **დამკვეთი** უხდის შემსრულებელს პირგასამტეხლოს ჩასარიცხი (დარჩენილი ასანაზღაურებელი) თანხის 0.01 %- ის ოდენობით ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე, თუ ეს გამოწვეული არაა **შემსრულებლის** მიზეზით.

4.4. ჯარიმის/პირგასამტეხლოს გადახდის ვალდებულება წარმოიშობა თუკი არსებობს დაზარალებული მხარის მიერ **ხელშეკრულების** დამრღვევი მხარისადმი წერილობითი მოთხოვნა წინამდებარე **ხელშეკრულების** პუნქტი 4.1 ან/და პუნქტი 4.2; პუნქტ(ებ)ში მითითებული ვალდებულების შესრულების თაობაზე. დაჯარიმების/პირგასამტეხლოს დაკისრების შესახებ გადაწყვეტილება არის მხარის უფლება და არა ვალდებულება.

4.5. ჯარიმის/პირგასამტეხლოს გადახდა არ ათავისუფლებს **მხარეებს ხელშეკრულებით** გათვალისწინებული ვალდებულების შესრულებისაგან. წინამდებარე **ხელშეკრულებს** ფარგლებში ურთიერთ გაქვითვის მექანიზმი არ გამოიყენება, **ხელშეკრულებით** უკვე განსაზღვრული პირობების გარდა.

მუხლი 5 მხარეთა გარანტიები

5.1. მისაწოდებელ პროდუქციაზე ვრცელდება 2 წლიანი გარანტია, შესაბამისი მოწყობილობის მწარმოებლის მიერ დაწესებული საგარანტიო სტანდარტებით და აითვლება მიწოდების მომენტიდან. ამასთან **შემსრულებელი** იძლევა გარანტიას რომ ის ჯეროვნად და კეთილსინდისიერად შეასრულებს მასზე ნაკისრ ვალდებულებას. ამასთან **დამკვეთი** ათვითცნობიერებს რომ, **შემსრულებელი** არაა და ვერ იქნება პასუხისმგებელი ამ უკანასკნელის მიერ ჯეროვანი შესრულების შედეგად **დამკვეთისათვის** დამდგარ ნებისმიერი სახის ფინანსური თუ სხვა სახის დანაკარგზე, დანაკლისზე, ზიანზე, ზარალზე, მიუღებელ შემოსავლებზე და ა.შ.

5.2. **დამკვეთი** იძლევა გარანტიას, რომ ის სრულად ათვითცნობიერებს **ხელშეკრულების საგნის** არს და შესაბამისად მიღებული პროექტიდან გადახვევით შესრულების შედეგად დამდგარ ნებისმიერ შესაძლო შედეგზე მას პრეტენზია არ გააჩნია და სამომავლოდ არ წარმოეშვება **შემსრულებლის** მიმართ.

5.3. როგორც ერთი - ისე მეორე **მხარე** ადასტურებს, რომ იგი არის უფლებამოსილი პირი, რათა დადოს წინამდებარე **ხელშეკრულება** და უზრუნველყოს **დანართ(ებ)ში** მოცემული **ხელშეკრულების საგნის** მიწოდება ან/და მიღება, გააჩნიათ შესაბამისი უფლებამოსილება. კვალიფიკაცია, მოპოვებული აქვთ ყველა შესაბამისი ნებართვა, თანხმობა ან/და სერთიფიკატები (საჭიროების შემთხვევაში).

მუხლი 6 ფორს - მაჟორი

6.1. არც ერთი **მხარე** არ აგებს პასუხს მიღებული ვალდებულებების შეუსრულებლობის გამო თუ ეს იყო განპირობებული ისეთი გარემოებების გამო, როგორიც არის ხანძარი, მიწისძვრა, წყალდიდობა ან/და სხვა ბუნებრივი კატაკლიზმები ან/და ომი, საგანგებო მდგომარეობის შემოღება, კანონმდებლობის შეცვლა **ხელშეკრულების** მოქმედების პერიოდში ან ისეთი გარემოებანი, რომელიც არ ექვემდებარება **მხარეთა** კონტროლს. იმ შემთხვევაში, თუ რომელიმე გარემოება უშუალოდ იმოქმედებს **ხელშეკრულების** შესრულების ვადაზე, ეს ვადა უნდა იყოს გაგრძელებული გადაულახავი ძალის გარემოების მოქმედების დროის პროპორციულად/მიხედვით.

6.2. **მხარე**, რომლისთვისაც შეუძლებელი გახდა ვალდებულებების შესრულება, ამა თუ იმ გარემოების ფორს-მაჟორული გამო, ვალდებულია წერილობითი ან/და ელექტრონული ფორმით შეატყობინოს **მეორე** მხარეს ამ გარემოების დაწყების, სავარაუდო ხანგრძლივობის და დამთავრების დრო, არაუგვიანეს ათი დღისა, ამ გარემოებების დაწყებისა და დამთავრების შემდეგ. ამ გარემოებების შესახებ შეუტყობინებლობის შემთხვევაში **მხარე(ებ)ს** ეკარგებათ უფლება მათზე მითითებისა **ხელშეკრულებაში** აღნიშნული ვალდებულებების შეუსრულებლობისას.

6.3. თუ ვალდებულების შესრულების შეუძლებლობა, როგორც გადაულახავი ძალის გარემოების შედეგი, გრძელდება ერთ თვეზე მეტი **მხარეებს** აქვთ ხელშეკრულების ნაწილობრივ ან/და მთლიანად შეწყვეტის გადაწყვეტილების მიღების უფლება. ასეთ შემთხვევაში **მხარე** რომელიც წყვეტს **ხელშეკრულებას** ვალდებულია აუნაზღაუროს **მეორე** მხარეს **ხელშეკრულების** მოქმედების პერიოდში გაწეული ხარჯები.

6.4. **მხარე**, რომლისთვისაც დადგა ფორსმაჟორული გარემოება ვალდებულია ოფიციალურად წარმოადგინოს დასტური აღმასრულებელი ხელისუფლების შესაბამისი ორგანოდან, თუ ფორს-მაჟორული მდგომარეობა დადგა მხოლოდ **მხარისათვის** და არაა საჯაროდ გამოცხადებული.

მუხლი 7 კონფიდენციალურობა

7.1. **მხარეები** თანხმდებიან, რომ მათ შორის **სახელშეკრულებო** ურთიერთობის პროცესში მიწოდებული ყველა ინფორმაცია, დოკუმენტაცია და სხვა ცნობები, რომლებიც წარმოადგენენ კომერციულ ფასეულობას, მიუხედავად იმისა წერილობითი ფორმის იქნება ეს თუ ზეპირი ითვლება კონფიდენციალურ ინფორმაციად და არ დაუშვებენ მესამე პირებზე მათ გადაცემას/გაცნობას.

7.2. წინამდებარე **ხელშეკრულების** პირობები ატარებენ კონფიდენციალურ ხასიათს და ამ **ხელშეკრულებასთან** დაკავშირებული ყოველგვარი ინფორმაცია მესამე პირ(ებ)ს გადაეცემა(თ) მოქმედი კანონმდებლობით დადგენილი წესით, ასევე, **მხარეთა** მიერ წერილობით გათვალისწინებულ შემთხვევებში. ამასთან აღნიშნული შეზღუდვა არ შეეხება: 1) იმ ინფორმაციას, რომელიც არის ან გახდება საჯაროდ ხელმისაწვდომი **მხარეთაგან** დამოუკიდებლად; 2) ინფორმაციას, რომლის გამჟღავნებაზეც **მხარეები** წერილობით შეთანხმდებიან; 3) ინფორმაციას, რომლის გამჟღავნებაც მოხდება რომელიმე **მხარის** მიერ კანონმდებლობისა და/ან შესაბამისი რეგულაციების (მათ შორის, იმ საფონდო ბირჟის მოთხოვების მიხედვით და დაცვით, სადაც ივაჭრება მხარის ან/და მისი ბენეფიციარი მფლობელის აქციები ან/და იმ

მოთხოვნათა შესაბამისად და/ან ასევე, **ხელშეკრულების** და მის შესახებ ინფორმაციის მიწოდება ტენდერებისათვის, ფასთა გამოკითხვებსა და სხვა სახის კონკურს(ებ)ში მონაწილეობის მიზნით.

7.3. პერსონალურ მონაცემთა დაცვა:

7.4. ამ ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების შესრულებისას მხარეები შესაძლოა ერთმანეთს აწვდიდნენ ან/და სხვა ხერხით ამუშავებდნენ მათთან აფილირებული პირების პერსონალურ მონაცემებს. შესაბამისად, ამ შეთანხმებაზე ხელმოწერით მხარეები ადასტურებენ, რომ თითოეულ მხარეს კანონიერად აქვს მოპოვებული უფლება, გადასცეს მეორე მხარეს მასთან აფილირებული პირ(ებ)ის პერსონალური მონაცემები ამ შეთანხმების შესრულების მიზნით.

7.5. მხარეები ვალდებულნი არიან ამ ხელშეკრულებით განსაზღვრული პირობების შესრულების და მოქმედების განმავლობაში, დაამუშაონ პერსონალური მონაცემები საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრული მიზნით.

7.6. გამცემი მხარე ადასტურებს, რომ თუ მომსახურების მიწოდებისას საჭიროა ან შესაძლოა დამუშავდეს განსაკუთრებული კატეგორიის მონაცემი, შესაბამისად მოპოვებული აქ წერილობით და ზუსტად განსაზღვრული თანხმობა ასეთი ინფორმაციის დამუშავებაზე ვინაიდან დაუშვებელია განსაკუთრებული კატეგორიის მონაცემის დამუშავება, გარდა კანონმდებლობით დადგენილი წესისა და შემთხვევებისა.

7.7. პერსონალური მონაცემი დამუშავდება ხელშერულების მოქმედების ან/და ხელშეკრულების მიზნის მიღწევისთვის საჭირო ვადის განმავლობაში. მონაცემის დამუშავება დასრულდება კანონმდებლობით დადგენილი პირობებით, მონაცემის სახეობისა და დამუშავების მიზნის შესაბამისად, განსაზღვრულ ვადაში.

7.8. მხარეები ადასტურებენ, რომ მათ გააჩნიათ პერსონალურ მონაცემთა დაცვის შიდა ორგანიზაციული პოლიტიკა, წესები და პირობები, ტექნიკური გამართულობა, ინფორმაციის უსაფრთხოების პოლიტიკა და ტექნოლოგიური უზრუნველყოფა, რომელიც იცავს ინფორმაციის კონფიდენციალურობას და უსაფრთხოებას საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.

7.9. მხარეები ადასტურებენ, რომ ისინი კეთილსინდისიერად მოეპყრობიან ნებისმიერ პერსონალურ მონაცემს.

7.10. მოთხოვნის შემთხვევაში მხარეები ვალდებული არიან, კანონით დადგენილ ვადებში შეწყვიტონ პერსონალური მონაცემის დამუშავება, წაშალონ, გააუქმონ, დაბლოკონ, გადასცენ დამუშავების შესახებ ინფორმაცია.

7.11. ამ მუხლში მოცემული ტერმინები და შინაარსი განიმარტება „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონით.

მუხლი 8 ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანა

8.1. თუ რაიმე წინასწარ გაუთვალისწინებელი მიზეზების გამო წარმოიშობა **ხელშეკრულების** პირობების შეცვლის აუცილებლობა, ცვლილებ(ებ)ის შეტანის ინიციატორი ვალდებულია წერილობითი ფორმით შეატყობინოს მეორე **მხარეს** შესაბამისი ინფორმაცია.

8.2. **ხელშეკრულების** პირობების ნებისმიერი ცვლილება, დამატება უნდა შესრულდეს წერილობითი ფორმით, დადასტურდეს ორივე **მხარის** უფლებამოსილი წარმომადგენლის ხელმოწერით ან/და კვალიფიციური ელექტრონული შტამპის და კვალიფიციური ელექტრონული ხელმოწერით, გაფორმდეს **ხელშეკრულების** დანართის სახით, რომელიც ჩაითვლება **ხელშეკრულების** განუყოფელ ნაწილად.

8.3. ნებისმიერი კორესპონდენცია **მხარეთა** შორის, წინამდებარე **ხელშეკრულების** ფარგლებში, უნდა შესრულდეს 1. მუხლში მითითებულ მხარეთა მისამართებისა და ელექტრონული საფოსტო მისამართებზე.

მუხლი 9 ხელშეკრულების მოქმედების ვადა

9.1. **ხელშეკრულება** ძალაში შედის **მხარეთა** უფლებამოსილი წარმომადგენლების მიერ ხელისმოწერის დღიდან და მოქმედებს მხარეთა მიერ ნაკისრი ვალდებულებების შესრულების დღის ჩათვლით.

9.2. იმ შემთხვევაში თუ რომელიმე **მხარე** უხეშად არღვევს წინამდებარე **ხელშეკრულების** პირობებს დაზარალებულ **მხარეს** უფლება აქვს **ხელშეკრულების** მოქმედების ვადის გასვლამდე ნებისმიერ დროს შეწყვიტოს **ხელშეკრულება** მხარისადმი წერილობითი შეტყობინების გაგზავნის მეშვეობით; ასეთი გარემოების დადგომისას **ხელშეკრულება** შეიძლება შეწყდეს ბრალეული **მხარისადმი** წერილობითი შეტყობინების გადაცემის მომენტიდან 15 (თხუთმეტი) კალენდარული დღის შემდეგ. **ხელშეკრულების შემსრულებლის** ბრალეული მიზეზით შეწყვეტის შემთხვევაში, **შემსრულებელი** ვალდებულია შეწყვეტიდან 10 (ათი) საბანკო დღის ვადაში დაუბრუნოს **დამკვეთს** მისგან მიღებული ავანსი (ასეთის არსებობის შემთხვევაში. თუ **დამკვეთი** შეწყვეტს **შემსრულებელთან ხელშეკრულებას,** უარს განაცხადებს **ხელშეკრულების** და მისი დანართ(ებ)ით გათვალისწინებულ **ხელშეკრულების საგანის** მიღებაზე, მიზეზით, რომელიც არ არის განპირობებული **შემსრულებლის** ბრალეული ქმედებით, **დამკვეთი**

საგნის ღირებულება სრული მოცულობით, (**შემსრულებელი** უფლებამოსილია ავანსის თანხიდან გაქვითოს შესაბამისი ღირებულება და თუ ავანსი ვერ აკმაყოფილებს აღნიშნულ მოცულობას, **დამკვეთი** ვალდებულია აანაზღაუროს დარჩენილი ოდენობა), ხოლო **ხელშეკრულების საგანი** გადაეცემა **დამკვეთს.**

9.3. **დამკვეთს** შეუძლია მთლიანად ან ნაწილობრივ შეწყვიტოს **ხელშეკრულება**, **შემსრულებლისათვის** ვალდებულებების წერილობითი შეტყობინების შემდეგ:

ა) თუ **შემსრულებელი** ბრალეულად დაარღვევს თავისი რომელიმე ვალდებულების შესრულების რომელიმე **სახელშეკრულებო** ვადას და არ გამოასწორებს ამ დარღვევას **დამკვეთის** მოთხოვნიდან 15(თხუთმეტი) კალენდარული დღის ვადაში. ხოლო იმ შემთხვევაში თუ გამოსწორება დაკავშირებულია საზღვარგარეთიდან ახალი მოწყობილობის დამკვეთისათვის მიწოდებასთან, გამოსწორების ვადად ითვლება უცხოელი მომწოდებლის მიერ მოწყობილობისთვის განსაზღვრული ოფიციალური წარმოება-მოწოდების ვადად, ასეთი შემთხვევა არ ჩაითვლება **შემსრულებლის** მიერ ხელშეკრულების პირობის დარღვევად.

ბ) კანონით გათვალისწინებულ სხვა შემთხვევებში.

9.4. **შემსრულებელს** შეუძლია მთლიანად ან ნაწილობრივ შეწყვიტოს ხელშეკრულება **დამკვეთისადმი** წერილობითი შეტყობინების გაგზავნის შემდეგ:

ა) თუ **დამკვეთი** ბრალეულად დაარღვევს ანგარიშსწორების ვადებს და არ გამოასწორებს დარღვევას **შემსრულებლის** შესაბამისი მოთხოვნის მიღებიდან 15(თხუთმეტი) კალენდარული დღის ვადაში.

ბ) კანონით გათვალისწინებულ სხვა შემთხვევებში.

9.5. თუ რომელიმე **მხარემ** დაარღვია **ხელშეკრულების საგნის** მოწოდების ან ანგარიშსწორების ვადები და დააგვიანა წინამდებარე **ხელშეკრულებით** განსაზღვრული ფუნქციების შესრულება **ხელშეკრულებით** განსაზღვრულ, ან **მხარეთა** მიერ დამატებით წერილობით შეთანხმებულ ვადებში (ასეთის არსებობის შემთხვევაში), **ხელშეკრულება** გადაიხედება **მხარეთა** მიერ. **ხელშეკრულების** გაუქმების შემთხვევაში, თუკი **დამკვეთის** მიერ მიღებული **ხელშეკრულების საგნის** ღირებულება აღემატება ამ **ხელშეკრულებით** უკვე გადახდილ თანხას, **დამკვეთი** ვალდებულია გადაუხადოს **შემსრულებელს დამკვეთის** მიერ მიღებული **ხელშეკრულების საგნის სახელშეკრულებო** ღირებულებასა და გადახდილი თანხას შორის სხვაობა; თუ **დამკვეთის** მიერ მიღებული **ხელშეკრულების საგნის** ღირებულება ნაკლებია ამ **ხელშეკრულებით** უკვე გადახდილ თანხაზე **შემსრულებელი** ვალდებულია დაუბრუნოს **დამკვეთს** ამ უკანასკნელის მიერ მიღებული **ხელშეკრულების საგნის** ღირებულებისა და გადახდილი თანხის შორის სხვაობა.

9.6. **ხელშეკრულების** მოქმედების, ნებისმიერი მიზეზით, შეწყვეტის, მოშლის, გაუქმების, შეჩერების შემთხვევაში, **მხარეები** ადგენენ შედარების აქტს და ახდენენ ანგარიშსწორებას, **ხელშეკრულებით** გათვალისწინებული ანგარიშსწორების ვადების შესაბამისად, ფაქტიურად მიწოდებული **ხელშეკრულების საგნის** და გაწეული მომსახურების მიხედვით.

მუხლი 10 დავათა გადაწყვეტა

10.1. მხარეები იღებენ ყველა ზომას რათა წინამდებარე **ხელშეკრულებიდან** გამომდინარე წარმოშობილი ყველა უთანხმოება გადაწყდეს მოლაპარაკებ(ებ)ის გზით.

10.2. მოლაპარაკების დაწყებიდან 10 კალენდარული დღის განმავლობაში თუ **მხარეები** ვერ შეძლებენ სადაო საკითხის შეთანხმებით მოგვარებას, ნებისმიერი **მხარეს** დავის დავის გადაწყვეტის მიზნით შეუძლია დადგენილი წესის მიხედვით მიმართოს საქართველოს სასამართლოს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

10.3. დავის არსებობა არ წარმოადგენს **ხელშეკრულების** შეწყვეტის საფუძველს. მხარეები ვალდებულნი არიან გააგრძელონ ნაკისრი ვალდებულებების შესრულება გარდა სადავო საკითხისა.

მუხლი 11 დასკვნითი დებულებანი

11.1. **ხელშეკრულება** შედგენილია საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად და განხილული იქნება საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის მიხედვით.

11.2. მხარეებს არა აქვთ უფლება წინამდებარე **ხელშეკრულების** უფლება-მოვალეობანი გადასცენ მესამე პირს, მეორე **მხარის** წერილობითი თანხმობის გარეშე.

11.3. წინამდებარე **ხელშეკრულება** შედგენილია ქართულ ენაზე ორ იდენტურ ეგზემპლარად, რომლიდანაც ერთი ინახება **დამკვეთთან,** ხოლო მეორე **შემსრულებელთან;**

11.4.1. იმ შემთხვევაში თუ **ხელშეკრულება** ხელმოწერილია ელექტრონული ფორმით: მაშინ **ხელშეკრულება** შედგენილია იურიდიული ძალის მქონე 1 (ერთი) ელექტრონულ ეგზემპლიარად, რომელზეც წვდომა/ჩამოტვირთვის/ამობეჭდვის საშუალება აქვს როგორც ერთ ისე მეორე მხარეს. აქვე მხარეები ადასტურებენ, რომ ელექტრონულ დოკუმენტებზე შეასრულებული კვალიფიციური ელექტრონული ხელმოწერა ან/და ის დოკუმენტების დაამოწმება კვალიფიციური ელექტრონული შტამპის მეშვეობით

სავალდებულოა მხარეებისათვის, რაც ითვლება რომ დადგენილი წესით ნების გამოვლენა არის/იქნება შესაბამისი მხარის ვალიდური და უცილო სამართლებრივი პოზიცია და ნება. ვინაიდან კვალიფიციური ელექტრონული შტამპის მეშვეობით დოკუმენტის ხელმოსაწერად ნების გამომხატველი/ხელმომწერი პირის იდენტიფიცირება ვერ ხერხდება, ხელშეკრულების ხელმოწერა მხარეთა მიერ მიჩნეულია რომ გახორციელდა წინამდებარე ხელშეკრულებაში ან სამეწარმეო რეესტრში რეგისტრირებული უფლებამოსილი წარმომადგენლის პირადი ან კორპორაციული ან/და სათანადო წესით წარმოდგენილი მინდობილი პირის მიერ.

11.4. ეს **ხელშეკრულება** ვრცელდება და სავალდებულოა **მხარეთა** უფლებამონაცვლეების, სამართალმემკვიდრეების, წარმომადგენლების, რწმუნებულებისთვის.

11.5. **მხარეები** თანხმდებიან, რომ ამ **ხელშეკრულებით** განსაზღვრული ნებისმიერი სახის ფულადი ვალდებულება, გარდა იმ შემთხვევისა, როცა წინამდებარე **ხელშეკრულებით** განსაზღვრულია ფულადი ვალდებულების შესრულებისათვის კონკრეტული ვადა, უნდა შესრულდეს ფულადი ვალდებულების წარმოშობის თარიღიდან (ვალდებულების შესრულების ვადაგადაცილების დღიდან და სხვა) 10 (ათი) სამუშაო დღის ვადაში. ამასთან, თუ ვალდებულების შესრულების (გადახდის) დღე დაემთხვა არასამუშაო ან უქმე დღეს, ვალდებულება უნდა შესრულდეს პირველივე სამუშაო დღეს.

11.6. წინამდებარე **ხელშეკრულების** ყველა დანართი, **ხელშეკრულების** ფარგლებში წარმოებული ელექტრონული მიმოწერა და შეთანხმებული ინვოისი წარმოადგენს **ხელშეკრულების** შემადგენელ და განუყოფელ ნაწილს.

11.7. წინამდებარე **ხელშეკრულების** აღსრულებისათვის აუცილებელი ყველა შეტყობინება მიეწოდება **წერილობითი ფორმით, ან დაზღვეული ფოსტით მხარეთა ადგილსამყოფელის მიხედვით თუ ამავე ხელშეკრულებით სხვაგვარად არ არის დარეგულირებული.**

11.8. **ხელშეკრულების** რომელიმე მუხლების, პუნქტების ან/და ქვეპუნქტების ბათილობა არ გამოიწვევს მთლიანად **ხელშეკრულების** სხვა ნუხლების, პუნქტების ან/და ქვეპუნქტების ბათილობას ამასთან ბათილი დებულების წაცვლად, გამოიყენება იმგვარი დებულება, რომლითაც უფრო ადვილად მიიღწევა **ხელშეკრულებით** გათვალისწინებული მიზანი.

11.9. **ხელშეკრულების** მუხლები, პუნქტები ან/და ქვეპუნქტები დანომრილია და დასათაურებულია მხოლოდ მოხერხებულობისათვის და ამ ფაქტს **ხელშეკრულების** განმარტებისთვის / ინტერპრეტაციისათვის მნიშვნელობა არ ენიჭება.

11.10. შემთხვევებში, რომლებიც არ არის გათვალისწინებული ამ **ხელშეკრულებით**, მხარეები იხელმძღვანელებენ საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი შესაბამისი ურთიერთობის მარეგულირებელი ნორმებით ან/და დამატებით შეთანხმებული პირობებით.

მხარეთა ხელმოწერა

და ბეჭედი

დამკვეთი

შემსრულებელი

"HAVEN CAPITAL" LLC
HC
GEORGIA